

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2016 წლის 5 აგვისტო

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №22 დადგენილებაში (სსმ 06.01.2016 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.131.016171) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულხან ოქროპირიძე

თავი I

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ლარი)

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	31 335 205	29 965 235	1 369 970	25 106 249	23 310 495	1 795 754	31 737 025	30 246 329	1 490 696
გადასახადები	1 354 750	1 354 750	-	2 078 881	2 078 881	-	2 900 000	2 900 000	-
გრანტები	27 455 694	26 085 724	1 369 970	20 294 292	18 498 538	1 795 754	26 669 643	25 178 947	1 490 696
სხვა შემოსავლები	2 524 760	2 524 760	-	2 733 076	2 733 076	-	2 167 382	2 167 382	-
ხარჯები	15 888 847	15 888 847	-	14 097 842	13 691 705	406 137	14 118 583	14 117 903	680



შრომის ანაზღაურება	2 588 536	2 588 536	-	2 207 758	2 207 758	-	6 232 084	6 232 084	-
საქონელი და მომსახურება	2 644 758	2 644 758	-	2 741 735	2 741 020	715	3 599 650	3 599 650	-
პროცენტი	418 776	418 776	-	383 462	383 462	-	371 830	371 830	-
სუბსიდიები	5 599 666	5 599 666	-	6 517 103	6 517 103	-	487 217	487 217	-
გრანტები	37 640	37 640	-	587 050	587 050	-	250 000	250 000	-
სოციალური უზრუნველყოფა	3 296 353	3 296 353	-	964 443	964 443	-	1 271 162	1 271 162	-
სხვა ხარჯები	1 303 119	1 303 119	-	696 291	290 869	405 422	1 906 640	1 905 960	680
საოპერაციო სალდო	15 446 359	14 076 389	1 369 970	11 008 407	9 618 790	1 389 617	17 618 442	16 128 426	1 490 016
არაფინანსური აქტივების ცვლილება	12 798 098	11 428 128	1 369 970	15 738 359	14 348 742	1 389 617	20 006 433	18 516 417	1 490 016
ზრდა	12 833 566	11 463 596	1 369 970	15 924 926	14 535 309	1 389 617	20 006 433	18 516 417	1 490 016
კლება	35 468	35 468	-	186 567	186 567	-	-	-	-
მთლიანი სალდო	2 648 260	2 648 260	-	-4 729 952	-4 729 952	-	-2 387 991	-2 387 991	-
ფინანსური აქტივების ცვლილება	2 272 433	2 272 433	-	-5 240 048	-5 240 048	-	-3 243 524	-3 243 524	-
ზრდა	2 272 433	2 272 433	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა, დეპოზიტები	2 272 433	2 272 433	-	-	-	-	-	-	-
კლება	-	-	-	5 240 048	5 240 048	-	3 243 524	3 243 524	-
ვალუტა, დეპოზიტები	-	-	-	5 240 048	5 240 048	-	3 243 524	3 243 524	-
ვალდებულებების ცვლილება	-375 826	-375 826	-	-510 096	-510 096	-	-855 533	-855 533	-
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	375 826	375 826	-	510 096	510 096	-	855 533	855 533	-

**მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება:**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
<b>შემოსულობები</b>	<b>31 370 673</b>	<b>30 000 703</b>	<b>1 369 970</b>	<b>25 292 816</b>	<b>23 497 062</b>	<b>1 795 754</b>	<b>31 737 025</b>	<b>30 246 329</b>	<b>1 490 696</b>
შემოსავლები	31 335 205	29 965 235	1 369 970	25 106 249	23 310 495	1 795 754	31 737 025	30 246 329	1 490 696



არაფინანსური აქტივების კლება	35 468	35 468	-	186 567	186 567	-	-	-	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
<b>გადასახდელები</b>	<b>29098240</b>	<b>27 728 270</b>	<b>1369970</b>	<b>30532864</b>	<b>28 737 110</b>	<b>1 795 754</b>	<b>34980549</b>	<b>33 489 853</b>	<b>1 490 696</b>
ხარჯები	15 888 847	15 888 847	-	14 097 842	13 691 705	406 137	14 118 583	14 117 903	680
არაფინანსური აქტივების ზრდა	12 833 566	11 463 596	1 369 970	15 924 926	14 535 309	1 389 617	20 006 433	18 516 417	1 490 016
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	375 826	375 826	-	510 096	510 096	-	855 533	855 533	-
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>2272433</b>	<b>2272433</b>	<b>-</b>	<b>-5240048</b>	<b>-5240048</b>	<b>-</b>	<b>-3243524</b>	<b>-3243524</b>	<b>-</b>

### მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 31 737 025 ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	31335205	29965235	1 369 970	25106249	23310495	1 795 754	31 737 025	30 246 329	1 490 696
გადასახადები	1 354 750	1 354 750	-	2 078 881	2 078 881	-	2 900 000	2 900 000	-
გრანტები	27 455 694	26 085 724	1 369 970	20 294 292	18 498 538	1 795 754	26 669 643	25 178 947	1 490 696
სხვა შემოსავლები	2 524 760	2 524 760	-	2 733 076	2 733 076	-	2 167 382	2 167 382	-

### ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2 900 000 ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
------------	-----------------	-----------------	-----------------



გადასახადები	750	1 354	2 078 881	2 900 000
საშემოსავლო გადასახადი				1 500 000
ქონების გადასახადი		1 354 750	2 078 881	1 400 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		627 324	1 022 194	1 045 500
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)			586 850	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		63 822	67 853	30 500
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი		48 718	60 561	40 000
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი		614 886	341 422	284 000

**ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 26 669 643 ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გრანტები	27 455 694	26 085 724	1 369 970	20 294 292	18 498 538	1 795 754	26 669 643	25 178 947	1 490 696
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	27 455 694	26 085 724	1 369 970	20 294 292	18 498 538	1 795 754	26 669 643	25 178 947	1 490 696
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი	7 184 600	7 184 600		198 700	7 198 700	7	5 868 400	5 868 400	
სპეციალური							2 628		



ტრანსფერი	20271094	18901124	1369970	2 142 257	346 503	1 795 754	629	1 137 933	1 490 696
მ.შ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	1 369 970		1 369 970		1 795 754	1 795 754	1 490 696		1 490 696
მ.შ .აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	18 901 124	18 901 124		346 503	346 503		1 137 933	1 137 933	
კაპიტალური ტრანსფერი	-			10 953 335	10 953 335		18 172 614	18 172 614	
აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	-			10 953 335	10 953 335		18 172 614	18 172 614	

**გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 167 382. ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>2 524 760</b>	<b>2 733 076</b>	<b>2 167 382</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	1 035 661	1 085 398	800 762
პროცენტები	783 693	801 332	550 000
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	783 693	801 332	550 000
<b>რენტა</b>	<b>251 968</b>	<b>284 066</b>	<b>250 762</b>
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	87 711	35 641	50 000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	164 257	248 425	200 762
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	384 280	427 853	350 000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	352 578	396 738	320 000



სანებართვო მოსაკრებელი	46 984	59 015	40 000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	46 984	59 015	40 000
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	25	107	-
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	211		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	66 402	52 358	
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	238 956	285 259	280 000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	31 702	31 115	30 000
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	31 702	31 115	30 000
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	985 807	1 026 616	850 000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	119 012	193 210	166 620
მ/შორის შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან	119 012	193 210	166 620

#### მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 14118583 ლარის ოდენობით, თანადაართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	15 888 848	15 888 848	-	14 097 842	13 691 705	406 137	14 118 583	14 117 903	680
შრომის ანაზღაურება	2 588 536	2 588 536	-	2 207 758	2 207 758	-	6 232 084	6 232 084	-
საქონელი და მომსახურება	2 644 758	2 644 758	-	2 741 735	2 741 020	715	3 599 650	3 599 650	-
პროცენტი	418 776	418 776	-	383 462	383 462	-	371 830	371 830	-



სუბსიდიები	5 599 666	5 599 666	-	6 517 103	6 517 103	-	487 217	487 217	-
გრანტები	37 640	37 640	-	587 050	587 050	-	250 000	250 000	-
სოციალური უზრუნველყოფა	3 296 353	3 296 353	-	964 443	964 443	-	1 271 162	1 271 162	-
სხვა ხარჯი	1 303 119	1 303 119	-	696 291	290 869	405 422	1 906 640	1 905 960	680

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 20 006 433. ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 20 006 433 ლარის ოდენობით, თანადართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	16 305	16 305	-	16 186	16 186	-	62 570	62 570	-
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	199 950	199 950	-	1 353	1 353	-	13 050	13 050	-
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	9 300 244	7 930 274	1 369 970	12 842 330	11 452 713	1 389 617	16 856 205	15 366 189	1 490 016
განათლება	1 114 947	1 114 947	-	2 410 692	2 410 692	-	2 364 720	2 364 720	-
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	2 197 247	2 197 247	-	652 365	652 365	-	709 888	709 888	-
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4 873	4 873	-	2 000	2 000	-	-	-	-
ჯამი	12 833 566	11 463 596	1 369 970	15 924 926	14 535 309	1 389 617	20 006 433	18 516 417	1 490 016



ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	35 468	35 468	-	186 567	186 567	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	35 468	35 468	-	186 567	186 567	-	-	-	-

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 34125016 ფუნქციონალურ ჭრილში, თანადაართული რედაქციით.

ლარი

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 681 808	2 681 808	0	2 476 597	2 476 597	0	2 815 927	2 815 927	0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 212 946	2 212 946	0	2 093 135	2 093 135	0	2 444 097	2 444 097	0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 076 841	2 076 841	0	1 938 726	1 938 726	0	2 082 787	2 082 787	0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	136 105	136 105	0	154 409	154 409	0	361 310	361 310	0





7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	418 776	418 776	0	383 462	383 462	0	371 830	371 830	0
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის	37 640	37 640	0	0	0	0	0	0	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	12 446	12 446	0	0	0	0	0	0	0
702	თავდაცვა	123 572	123 572	0	112 539	112 539	0	140 530	140 530	0
7021	შეიარაღებული ძალები	123 572	123 572	0	112 539	112 539	0	140 530	140 530	0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	775 009	775 009	0	651 545	651 545	0	0	0	0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	775 009	775 009	0	651 545	651 545	0	0	0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	6 087 430	6 087 430	0	3 731 907	3 731 907	0	4 770 727	4 770 727	0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	2 533 356	2 533 356	0	3 223	3 223	0	11 502	11 502	0
70421	სოფლის მეურნეობა	2 533 356	2 533 356	0	3 223	3 223	0	11 502	11 502	0
7045	ტრანსპორტი	3 399 405	3 399 405	0	3 522 009	3 522 009	0	4 521 285	4 521 285	0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3 399 405	3 399 405	0	3 522 009	3 522 009	0	4 521 285	4 521 285	0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	154 669	154 669	0	206 675	206 675	0	237 940	237 940	0



705	გარემოს დაცვა	2 832 769	2 832 769	0	5 248 377	5 248 377	0	3 703 106	3 703 106	0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 344 677	1 344 677	0	1 436 443	1 436 443	0	1 565 290	1 565 290	0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	1 488 092	1 488 092	0	3 811 934	3 811 934	0	2 137 816	2 137 816	0
706	საბინაო_კომუნალური მეურნეობა	7 351 799	5 981 829	1 369 970	7 429 627	6 039 295	1 390 332	13 084 056	11 593 360	1 490 696
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	930 536	930 536	0	1 239 046	1 239 046	0	2 343 549	2 343 549	0
7063	წყალმომარაგება	3 815 647	3 815 647	0	3 333 942	3 333 942	0	7 933 909	7 933 909	0
7064	გარე განათება	625 730	625 730	0	714 853	714 853	0	742 100	742 100	0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 979 886	609 916	1 369 970	2 141 786	751 454	1 390 332	2 064 498	573 802	1 490 696
707	ჯანმრთელობის დაცვა	157 686	157 686	0	196 801	196 801	0	265 370	265 370	0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	157 686	157 686	0	196 801	196 801	0	265 370	265 370	0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	4 679 386	4 679 386	0	3 728 045	3 728 045	0	2 348 150	2 348 150	0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 996 046	1 996 046	0	2 422 424	2 422 424	0	1 440 728	1 440 728	0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2 575 033	2 575 033	0	1 177 895	1 177 895	0	772 902	772 902	0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	14 374	14 374	0	0	0	0	0	0	0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის	93 933	93 933	0	127 726	127 726	0	134 520	134 520	0



სფეროში										
709	განათლება	3 347 627	3 347 627	0	5 090 665	5 090 665	0	5 354 600	5 354 600	0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 570 368	1 570 368	0	1 963 763	1 963 763	0	2 372 955	2 372 955	0
7092	ზოგადი განათლება	4 039	4 039	0	3 169	3 169	0	0	0	0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	4 039	4 039	0	3 169	3 169	0	0	0	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 773 220	1 773 220	0	3 123 733	3 123 733	0	2 981 645	2 981 645	0
710	სოციალური დაცვა	685 328	416 641	0	1 356 665	951 243	405 422	1 642 550	1 642 550	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	170 543	170 543	0	179 996	179 996	0	134 000	134 000	0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	514 785	246 098	0	1 176 669	771 247	405 422	1 508 550	1 508 550	0
	მთლიანი ხარჯები	28 722 414	27 083 757	1 369 970	30 022 769	28 227 014	1 795 754	34 125 016	32 634 320	1 490 696

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2 387 991 ლარის ოდენობით.

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - (-3 243 524) ლარის ოდენობით.

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-855 533 ) ლარის ოდენობით. გარდა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წინა წლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტის სესხის მომსახურების ხარჯებისა, გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან თანახმად ხელშეკრულებისა ფაქტიური შესრულებიდან წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა სულ 116563 ლარი (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის ღონისძიება 11419 ლარი, კულტურის სახლის მშენებლობა 69055,09 ლარი, ქალაქ ქობულეთში ჭავჭავაძის უბნის (ჭავჭავაძის ქუჩის,



ჭავჭავაძის პირველი შესახვევის, ჭავჭავაძის პირველი და მეორე ჩიხის საგზაო ინფრასტრუქტურა) კეთილმოწყობა თანხით 30436,7 ლარი და მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში მდებარე ამფითეატრის რეაბილიტაცია თანხით 5652,17 ლარი).

### **მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 170 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მუხლი 11. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მუხლი 12. სპორტული, კულტურული ღონისძიებები**

სპორტულ, კულტურულ, პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **თავი II**

### **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

#### **მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

##### **1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)**

###### **1.1. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური (პროგრამული კოდი 02 01)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირებისა და გაწვევებთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფა.

###### **2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის ქუჩების მოწყობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა- შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

###### **2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებულ რეაბილიტირებულ ქუჩებში გადაადგილების უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირება, მგზავრთა მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფა, გზებზე უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტებისათვის მიმზიდველი და კომფორტული გარემოს შექმნას და ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას.

###### **2.1.1. ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში შიდა საქალაქო ქუჩებისა და ტროტუარების რეაბილიტაციას იმ უბნებში, სადაც ძირითადად მოწესრიგებული იქნება მიწისქვეშა კომუნიკაციები, კერძოდ, დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში ბაგრატიონის ქუჩის კეთილმოწყობა, სადაც მოეწყობა მიწისქვეშა სანიადვრე ქსელი, დაიგება ასფალტბეტონის საფარი და მოეწყობა ტროტუარები და ბორდიურები. ქალაქ ქობულეთში, აბაშიძის ქუჩის (მდ კინტრიშიდან კარიერის დასახლებამდე) არსებულ ტროტუარებზე მოეწყობა დეკორატიული ფილები და მოეწყობა ბორდიურები. ქალაქ



ქობულეთში რუსთაველის ქუჩა ე.წ. ცენტრალურ სასაფლაოებთან მისასვლელი გზის მონაკვეთზე დაგეგმილია მისასვლელი გზის (საგზაო ინფრასტრუქტურა) კეთილმოწყობის სამუშაოები, კერძოდ მოეწყობა სავალი გზის ნაწილი და მიწისქვეშა კომუნიკაცია, აგრეთვე მოეწყობა ტროტუარები დეკორატიული ფილებით და მოეწყობა ბორდიურები. მოწესრიგდება საბავშვო ბაღებთან მისასვლელი გზები. პროგრამით დასრულდება გარდამავალი ღონისძიებებიც კერძოდ: ქალაქ ქობულეთში ჯავახიშვილის უბნის (ჯავახიშვილის ქუჩის, ჯავახიშვილის პირველი, მეორე, მესამე შესახვევის და რუსთაველის პირველი შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები, ქალაქ ქობულეთში კომახიდის ქუჩის (კომახიდის ქუჩის, კომახიდის ქუჩისა და გოგებაშვილის ქუჩის შესასვლელის რუსთაველის ქუჩამდე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები, ქ. ქობულეთში ლესელიძის ქუჩის (ლესელიძის ქუჩისა და ლესელიძის შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურა) კეთილმოწყობა და ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქ. N325-დან N341-მდე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, აგრეთვე დაგეგმილია გელაურის საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა.

### **2.1.2. ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს ჯებირისა, სანაპიროს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 01 02)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქ. ქობულეთში "ჯორჯიან პალასის" მიმდებარედ სანაპიროზე ჩასასვლელი კიბის და პანდუსის მოწყობას, თამარ მეფის სანაპიროზე სასტუმრო "ივერიასთან" ქვაფენილის მოწყობის სამუშაოებს.

### **2.1.3 ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელეების რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელეების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 04)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ორი ერთეული მოსაცდელის დემონტაჟს და ახალი მოსაცდელის მოწყობას.

### **2.1.4. მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის, ნაპირსამაგრი, საძირკვლების, ჯარგვალისა და ფერდსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები) (პროგრამული კოდი 03 01 06)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2014 წლის ნოემბრის და 2015 წლის 8 ოქტომბრის სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების სახლის საძირკველისა, ჯარგვალისა და ფერდსამაგრი კედლების მოწყობას. სახლებთან მისასვლელი გზის მოწყობა და სასაფლაოს ფერსამაგრი კედლების მოწყობის სამუშაოებს.

### **2.1.5. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 07)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თემებში, სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე) და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მგზავრთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად მუნიციპალური ტრანსპორტით, კერძოდ, ავტობუსებით მომსახურების ხარჯების თანადაფინანსებას. აღნიშნული ქვეპროგრამა განხორციელდება შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირების“ მიერ.

### **2.1.6. ქალაქ ქობულეთში დ. აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში ავტობუსისა და ავტომანქანების გაჩერებისათვის ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 08)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დ. აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში ავტობუსისა და ავტომანქანების გაჩერებისათვის ტერიტორიის მოწყობის სამუშაოებსა და არსებული მოსაცდელის შემოსვას მინით.

### **2.1.7. სასოფლო გზების მოშანდაკების მიზნით ფრაქციული ღორღის შექმნა (პროგრამული კოდი 03 01 09)** ქვეპროგრამა ითვალისწინებს დაზიანებული შიდა სასოფლო გზების მოშანდაკების მიზნით ფრაქციული ღორღის შექმნას.

### **2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების მოწყობა, მუნიციპალიტეტის გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის



ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. წყალმომარაგების უზრუნველყოფისა და მოსახლეობაზე სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება წყალსადენის სათავე ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, წყლის გაუსნებელყოფა, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები.

### **2.2.1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N137, N162-ე, N162 დ, N162ზ, N162ჟ, N164, N164-ა, N166, N166-ა, N215-ა, ვერულიძის N5 და N9, კომახიძის N100 და 9 აპრილის N24 ში ასევე ქალაქ ქობულეთში აღმაშენებლის ქუჩა N2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, კერძოდ მოეწყობა სანიაღვრე საკანალიზაციო ჭების სისტემებიც და ეზოებში დაიგება დეკორატიული ფილები, მოწესრიგდება გაზონები. ქვეპროგრამის ფარგლებში გადაიხურება მუნიციპალიტეტში არსებული 27-მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. გათვალისწინებულია დაბა ჩაქეში, აღმაშენებლის ქუჩა N6-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები.

### **2.2.2. გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 02)**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, გარე განათების ქსელის განვითარებისა და არსებულის სრულყოფისათვის, ენერჯის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა და განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების, კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენების დანერგვა. წლის განმავლობაში ღამით ქალაქში უსაფრთხოებისთვის ხელისშეწყობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის 4800 ზე მეტი წერტის ექსპლოატაცია, მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურება. რაც ხელს შეუწყობს რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ქალაქის იერსახის შენარჩუნებას.

### **2.2.3. მუნიციპალიტეტის სანიტარიული დასუფთავების ღონისძიებები**

#### **(პროგრამული კოდი 03 02 03)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მაწანწალა ცხოველების დაჭერა, ტრანსპორტირება და დაჭერილი ცხოველების გაუნებელყოფა. გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სისუფთავის და წესრიგის დაცვა, რასაც განახორციელებს ა(ა)იპ – ქობულეთის სანდასუფთავება.

### **2.2.4. გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2016 წელს გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის და, მათ შორის, მარადმწვანე დეკორატიული მცენარეების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, რასაც ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება, პროგრამა დააფინანსებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს.

### **2.2.5. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)**

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მოსახლეობისათვის და არსებული ორგანიზაციებისათვის ეკოლოგიურად სუფთა, სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა. შპს „ქობულეთის წყალი“ უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის სასმელი წყლის დროულ და ხარისხიანად მიწოდებას, დაფინანსება ხდება სასმელი წყლის მიწოდებაზე დახარჯული ელექტრო ენერჯის ანაზღაურების მიზნით, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს სასმელ-სამეურნეო წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია (გამრიცხველიანება), გარდა ამისა სოფლებში კერძოდ: სოფელ ზედა სამების წყალსადენის სისტემის



მოყობა, სოფელ ხუცუბნის წყალსადენის სისტემის მოწყობა, სოფ. ჩაისუბნში წყალსადენის სისტემის პირველი ეტაპის ანუ სათავე ნაგებობისა და რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები, სოფ ლელვაში წყალსადენის სისტემის სათავე ნაგებობისა და რეზერვუარის მოწყობა, საჩინოს თემში პირველ ეტაპზე (სოფლებში საჩინოში და ქვედა აჭყვამი წყლის სათავეს და ქსელის მოწყობა) წყლის სათავე ნაგებობის, რეზერვუარისა და ცენტრალური მაგისტრალის მოწყობა. დაგეგმილია სოფელი ჭახათის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია სოფლები: აჭყვისთავის, ზენითის, ალამბრის, მუხაესტატეს და წყავროკას წყლის სისტემების რეაბილიტაცია. აგრეთვე დაგეგმილია სოფელი ჭახათის ე.წ. "კურჩხულას" წყალსადენის სათავე ნაგებობისა და სოფლებში მუხაესტატესა და წყავროკაში ახალი ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოები. პროგრამა დააფინანსებს დაბა ოჩხამურში 4 ერთეული წყალსაქაჩი ტუმბოს მოწოდება-მონტაჟის ხარჯებს, ქაქუთის წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუშაოებს, ქვეპროგრამით აგრეთვე გათვალისწინებულია დაბა ჩაქვში სოფელ ბუენარის არსებული წყალსადენის მაგისტრალის რეაბილიტაცია. ქვეპროგრამით გრძელდება ა(ა)იპ ქობულეთის სოფლის წყალის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯს, რომელიც მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების განხორციელებას, ამორტიზირებული წყლის მილების პერიოდულ შეცვლას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან და მოსახლეობის ცხოვრების კრიტერიუმების ცვლილებასთან.

### **2.2.6. სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში „მტს“ და კარიერის უბნის საკანალიზაციო სისტემის და მისი ელემენტების სამშენებლო სამუშაოების II ეტაპი, განხორციელდება ქალაქ ქობულეთში ჩოლოქის დასახლებაში წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები (სეპტიკის მშენებლობა და კანალიზაციის სისტემა-ელემენტების მოწყობა). ქვეპროგრამით გათვალისწინებულია დაბა ჩაქვში ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში სანიაღვრე კანალიზაციის მოწყობის სამუშაოები, ქ. ქობულეთში სანიაღვრე არხების (7 ერთეული) და სანაპირო ზოლში სანიაღვრე ჭების (15 ერთეული) მოწყობის სამუშაოები, აგრეთვე ქვეპროგრამით განხორციელდება სოფელ ბობოყვათის საბავშვო ბაღის არსებული საკანალიზაციო შამბოს რეაბილიტაცია, სოფელ მუხაესტატეს საბავშვო ბაღის საკანალიზაციო შამბოს მოწყობა, სოფელ ხუცუბნის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საკანალიზაციო სისტემის მაგისტრალური ხაზის რეაბილიტაციის სამუშაოები და ქალაქ ქობულეთში გელაურის დასახლების (არხის მარჯვენა მხარეს დარჩენილი) კანალიზაციის სისტემის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამით დასრულდება გელაურისა და კარიერის უბნის საკანალიზაციო სისტემის და მისი ელემენტების სამშენებლო სამუშაოების I ეტაპი, აგრეთვე ქალაქ ქობულეთში გელაურის დასახლების (არხის მარჯვენა მხარე, კაიკაციშვილის, პუშკინის, აკ. წერეთლის, თხილაიშვილის, ვაჟა ფშაველას, კინტრიშის, ნ. ბარათაშვილის ქუჩებისა და ჰ. აბაშიძის და კაიკაციშვილის შესახვევების) კანალიზაციის სისტემისა და სატუმბო სადგურის მოწყობის სამუშაოების დაფინანსება.

### **2.2.7. უკანონო მიწნებებისა და ჯიხურების დემონტაჟი (პროგრამული კოდი 03 02 07)**

მუნიციპალიტეტის იერ-სახის შენარჩუნების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია უსახური, ამორტიზირებული ნაგებობების და უკანონო მიწნებების დემონტაჟი.

### **2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები.

#### **2.3.1. სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები**

##### **(პროგრამული კოდი 03 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ქობულეთში მემედ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წინ არსებული სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები, კერძოდ დაიგება ფილები, მწვანე საფარის დაზიანებული ადგილები შეიცვლება ახლით, ცენტრალურ გზასა და სკვერს შორის მოეწყობა ახალი დეკორატიული მოაჯირები და ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმდებარე



სკვერში საფეხმავლო და სამანქანო სავალი ნაწილების მოწესრიგება, ბეტონის დეკორატიული საგზაო ფილების, ბეტონის ბორდიურების მოწყობა, საპარკე საკამების, ქუჩის გარე განათების მოწყობა და სხვა. პროგრამით დაგეგმილია აგრეთვე ქ. ქობულეთში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა, ქ. ქობულეთის პარკში, ამფითეატრისა და დაბა ჩაქვის პარკში არსებული ხის ხიდის საფარის რეაბილიტაცია, კარიერის დასახლებაში სკვერის რეაბილიტაცია.

### **2.3.2. მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს შენობის სარემონტო სამუშაოები, აგრეთვე დაგეგმილია სოფელ ხუცუბანში არსებული საფერშლო პუნქტის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები, აგრეთვე ქვეპროგრამა განახორციელებს ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქობულეთის სახელოვნებო სკოლის შენობისა და სამხედრო კომისარიატის შენობის სარემონტო სამუშაოებს.

### **2.3.3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რკინა-ბეტონის და ლითონის კონსტრუქციების (ღობების) და სკვერებსა და პარკებში საჯდომების მიმდინარე შეკეთება-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანაგვე ურნების შეძენა, აგრეთვე ქალაქ ქობულეთში სანაპირო ზოლში სამყურა სკამი/საყვავილეს მოწყობა.

### **2.4. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა (პროგრამული კოდი 03 04)**

მუნიციპალიტეტში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს.

### **2.5. ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) (პროგრამული კოდი 03 05)**

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულების “ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ თანახმად პროგრამა ითვალისწინებს სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა (ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების, კეთილმოწყობის და სხვა) დაფინანსებას.

### **2.6. საცხოვრებელი ბინების სადეზინფექციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)**

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფექციური დაავადებების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით აუცილებელია ისეთი პრევენციული ღონისძიების გატარება როგორცაა სადერატიზაციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

### **2.7. აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 07)**

მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ხაზობრივ ნაგებობების აზომვითი ნახაზების მომზადება და მისი შემდგომი მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება ხელს შეუწყობს არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განკარგვას.

### **2.8. სხვადასხვა სანიტარულ-ჰიგიენური და ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 08)**

ტურისტული სეზონის დადგომამდე და სეზონის განმავლობაში აუცილებელი ხდება ტურისტულ ობიექტებში გარემო ზემოქმედების ფაქტორებისა და მიკროკლიმატის მაჩვენებლების, კვების ბლოკების მდგომარეობის მოქმედ სანიტარულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

### **2.9. "მცირე კავკასიის ალიანსების აჭარის პროგრამის "ქობულეთის მუნიციპალიტეტის**





## თანამონაწილეობა (პროგრამული კოდი 03 12)

მუნიციპალიტეტში პირუტყვის დაავადების მონიტორინგისა და კატასტროფების, დაავადებების რისკის შემცირებისა და გენდერული თანასწორობის დანერგვის მიმართულებით მუნიციპალიტეტი ვალდებულია იღებს უზრუნველყოს ერთობლივი პროექტის თანადაფინანსება და ამ მიზნით გაიღებს სამუშაო ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებს. პროგრამა დაიწყო 2015წელს და დასრულდება 2017 წლის მარტის თვეში.

### 2.10. ერთი ერთეული მუხლუხებიანი ტრაქტორის შეძენა (პროგრამული კოდი 03 13)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში დასუფთავების სამუშაოების წარმოების მიზნით მუხლუხებიანი ტრაქტორის შეძენა.

## 3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების, გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების ფუნქციონირება.

### 3.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი განათლება წარმოადგენს რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

#### 3.1.1. ა(ა)იპ – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს საბავშვო ბაღები, სადაც სკოლამდელ აღზრდა-განათლებას მიიღებს 2300 ზე მეტი ბავშვი. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ქვეპროგრამა მოიცავს ბაღების სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურების და კვებითი მომსახურების ხარჯების სრულ დაფინანსებას და ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა დანარჩენ ხარჯს.

#### 3.1.2. საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 01 02)

ბაღების განტვირთვის მიზნით ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა (სოფელი დაგვასა და ცეცხლაურში). პროგრამით გათვალისწინებულია ქალაქ ქობულეთში ფიჭვნარში საბავშვო ბაღის მოწყობის, გელაურის, ხუცუბნის, სოფელ ზენითში საბავშვო ბაღის მოწყობისა და დაბა ჩაქვში აღმაშენებლის ქუჩა №28-ში საბავშვო ბაღის მშენებლობის დასრულება და გელაურის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა. გათვალისწინებულია არსებული საბავშვო ბაღების გაზიფიცირების ხარჯები.

## 4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შესძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

### 4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის



სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2016 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სარაგბო საკლუბო გუნდი „პონტო“ მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.
- ა(ა)იპ "ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთი".
- ა(ა)იპ – ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა.
- ა(ა)იპ " ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიპ.

#### 4.1.1. ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა, ველოსპორტი, რაგბი, ჭადრაკი, ფეხბურთი (გოგონათა და ჭაბუკთა). წრეებში დაკავებულია 300 ზე მეტი ბავშვი, ტარდება შიდა სასკოლო და ამხანაგური შეხვედრები. წლის განმავლობაში სკოლის ჯგუფებში მოსწავლეთა მომზადების დონის შემოწმების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებში წარმატებული სპორტსმენების გამოვლენის მიზნით სასპორტო სკოლა მონაწილეობას ღებულობს საოლქო და რესპუბლიკურ სპორტულ ღონიძირებებში.

#### 4.1.2. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია და ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ უზრუნველყონ სპორტსმენების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერ სპორტსმენთა წახალისება. გაგრძელდება სხვადასხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერაც.

#### 4.1.3. სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მხარდაჭერის ფარგლებში სარაგბო კლუბის დაფინანსებას. კერძოდ სარაგბო კლუბი "პონტოს" მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების დაფინანსებას, სპორტულ თამაშებში მონაწილეობის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებებით, აგრეთვე გუნდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

#### 4.1.4. სპორტული მოედნების მოწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ დაგვაში მინისტადიონის მშენებლობას, დაფინანსდება სოფელ მუხანესტატეში სტადიონის მოწყობა, ქალაქ ქობულეთში ფიჭვნარში სტადიონის სექციის აღდგენა, სპორტული მოედნების (2 მოედანი) მოწყობა (ქ. ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის ტერიტორია), ქობულეთის ცენტრალური სტადიონის რემონტი და დაბა ჩაქვში სოფელ სახალგაშოში არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია. დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში ჭავჭავაძის უბანში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, აგრეთვე ქალაქ ქობულეთში რუსთაველის ქ. №162-დ-ში და N160-ში მდებარე სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

#### 4.1.5. ა(ა)იპ "ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთი" (პროგრამული კოდი 05 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯების დაფინანსება.

#### 4.1.6. ა(ა)იპ " ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი (პროგრამული კოდი 05 01 07)

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №107 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს ფეხბურთის განვითარების (2016-2017წ) სახელმწიფო პროგრამა, რომლის თანახმადაც ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ფეხბურთის მხარდაჭერისათვის გრანტი.

#### 4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)



მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

#### **4.2.1. ა(ა)იპ – სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქობულეთის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01)**

მუნიციპალიტეტი დააფინანსებს 2016 წლის პროგრამის ფარგლებში სახელოვნებო სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯს. სადაც გაერთიანებულია სოფლების ხუცუბნისა და ბობოყვათის, დაბა ჩაქვისა და ქ. ქობულეთის სკოლები. 0 მზე მეტი.

#### **4.2.2. ა(ა)იპ – ქობულეთის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)**

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ცენტრი რომელიც შემდგება საბიბლიოთეკო და მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება, მასში გაერთიანებულია სასოფლო კულტურული დაწესებულებები, შესაბამისად განყოფილებებში ფუნქციონირებს ეკოტურიზმის, კულტურული მემკვიდრეობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზების, ხალხური რეწვის, ლიტერატურულ-თეატრალური, რიტმული ცეკვების „ახალი რიტმები“ ჯგუფები და ქორეოგრაფიული ანსამბლი „საუნჯე“. ახალგაზრდული ანსამბლი ახალი ხმები და სასოფლო კლუბებთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, სადაც სულ გაერთიანებულია ორასამდე ახალგაზრდა. პროგრამა აფინანსებს კულტურის ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

#### **4.2.3. ა(ა)იპ ქობულეთის პარკი (პროგრამული კოდი 05 02 03)**

მუნიციპალიტეტი საკუთრებაში არსებული პარკების მიმდინარე მოვლა-შენახვისა და საკურორტო ქალაქის იერსახის შენარჩუნების მიზნით დააფინანსებს ა(ა)იპ ქობულეთის პარკის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს.

#### **4.2.4. გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული" (პროგრამული კოდი 05 02 04)**

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი სადაც ახალგაზრდა თაობებში კულტურული აღზრდისა და ეროვნული ცეკვების შენარჩუნების მიზნით მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ანსამბლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯს.

#### **4.2.5. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 05)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის, მხარის ღირსეულად წარმოჩენის მიზნით ადგილობრივი და მუნიციპალიტეტის სტუმრების დაინტერესების, სანახაობებისა და წარმოდგენების მიზნით გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები როგორცაა საახალწლო და სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი კულტურული ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების აღნიშვნა, სახალხო დღესასწაულები და სხვა. პროგრამით განხორციელდება ტურიზმის კვირეულისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები, მოხდება ტურისტული სარეკლამო მასალების მომზადება, პროგრამით შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებსა და პროექტებში შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობის ხელშეწყობა, ხელი შეეწყობა ცნობილი და შემოქმედი ადამიანების პოპულარიზაციას, შესაძლებელი გახდება გენდერული თანასწორობის დღის, შ.შ.მ. პირების უფლებათა დაცვის დღის და სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერა.

#### **4.2.6. ა(ა)იპ – ქობულეთის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 08)**

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუზეუმი, რაც ემსახურება ქობულეთის როგორც საკურორტო და ისტორიული მნიშვნელობის ქალაქის განვითარებასა და პოპულარიზებას. მუზეუმში დაცულია იშვიათი ექსპონატები რომლებიც ადგილობრივი ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენს, საგამოფენო დარბაზი წლის განმავლობაში მასპინძლობას უწევს არამარტო ადგილობრივ არამედ უცხოელ



დამთვალეიერებლებსაც, ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

## **5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. სოციალური სფერო დაფუძნებულია ბენეფიციართა მიზნობრივ დახმარებებზე და პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფენ მის შემდგომ დახვეწას, რათა გაიზარდოს პროგრამების სიზუსტე და დახმარების ეფექტიანობა. ისევ იმოქმედებს პრინციპი, რომ მუნიციპალიტეტი დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო სასადილოში ცხელი საკვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის მიმართული აქციების განხორციელებას, მათთვის მატერიალური მხარდაჭერას და სტიმულის მიცემას, დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას.

### **5.1 ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01)**

